ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის წევრი

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.05.2013

საჩივრის რეგისტრაციის №047/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. მ.–ის მიმართ, /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. მ.–ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 16 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ბ.–ის წარმომადგენელმა - ე. კ.–მა და მოითხოვა ადვოკატ თ. მ.–ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება გ. ბ.–ისათვის გაწეული არაკვალიფიციური მომსახურების გამო.

1.2 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის - ე. კ.–ის განმარტებით, ადვოკატმა 2013 წლის 27 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით დაარღვია უდანაშულობის პრეზუმფცია და მისი უფლებები, ეთიკის კომისიისათვის წარდგენილ ახსნა-განმარტებაში მისი თაღლითად მოხსენიებით. ასევე, არასწორია ადვოკატის მითითება, რომ იგი ე. კ.–ს იცნობდა 10-12 წლის წინ და იგი საჩივრის ავტორს გარკვეული თანხის სანაცვლოდ გაზეთში უბეჭდავდა სტატიებს.

1.3 2014 წლის 27 იანვარს გამართულ განხილვის სხდომაზე საჩივრის ავტორმა - გ. ბ.–მ განმარტა, რომ ადვოკატი წარმომადგენლობას კვალიფიციურად არ ახორციელებდა. ადვოკატი მას ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე უწევდა მომსახურებას ალიმენტის საქმეზე, თუმცა, მათ შორის შეთანხმების თანახმად, ადვოკატს კლიენტის უფლებების დასაცავად სასამართლოში სარჩელი უნდა შეეტანა და წარმომადგენლობა განეხორციელებინა გ. ბ.–ის სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნასთან დაკავშირებით.

2. მოწმის პოზიცია:

2014 წლის 27 იანვრის განხილვის სხდომაზე მოწმე ე. კ.–მა განმარტა, რომ იგი ესწრებოდა მხარეთა შეხვედრას, საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე შეთანხმების დროს. ადვოკატმა ჰონორარის სახით მიიღო 300 ლარი. შემდგომში საჩივრის ავტორისათვის ცნობილი გახდა, რომ ადვოკატი არ ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებას, კეროდ, არ მიუმართავს კერძო აღმასრულებლისათვის, ამიტომ კლიენტმა გადაწყვიტა ხელშეკრულების გაუქმება და გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა. მოწმის განმარტებით, იგი მანამდე არ იცნობდა ადვოკატს, რომელმაც იგი მოიხსენია, როგორც თაღლითი და ფულის გამომძალველი, რაც ცილისწამებაა.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა თ. მ.–მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2013 წლის 27 მაისს, რომლის თანახმად საჩივრის რეალური ავტორია გ. ბ.–ის წარმომადგენელი ე. კ., რომელიც 10-12 წლის წინ გაიცნო. საჩივრის ავტორის წარმომადგენელი გ. ბ.–ის შესახებ გაზეთში სტატიების წერის სანაცვლოდ, მას ართმევდა გარკვეულ თანხას.

3.2 ადვოკატის განმარტებით, მან გ. ბ.–ს მომსახურება გაუწია აღსრულების ეროვნულ ბიუროში - დააწერინა განცხადება და ურჩია, მიეღო შვილებისაგან ალიმენტის სახით სრული თანხა, რაც შეადგენდა 6000 (ექვსი ათას) ლარს. გარკვეული ხნის შემდეგ, გ. ბ.–მ გადაწყვიტა აღარ მოეთხოვა ალიმენტი და სთხოვა ადვოკატს დახმარებოდა სხვა საქმეში.

3.3 ადვოკატი 2013 წლის 27 მაისის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს: „საჩივარი არის ქალბატონი ე. კ.–ის „შედევრი“, რომელიც თანხებს სძალავს მოტყუებით გ. ბ.–ს, რაც ნამდვილად ასეა. გთხოვთ, შესაბამისად გაერკვათ აღნიშნულ საქმეში და მიიღოთ შესაბამისად გადაწყვეტილება ამ თაღლითი ქალბატონის მიმართ.“

3.4 2013 წლის 03 ივნისის დამატებით ახსნა-განმარტებაში ადვოკატი აცხადებს, რომ 2011 წელს ალიმენტის დაკისრების შესახებ საქმის გარდა, არ აწარმოებდა ამავე კლიენტის სხვა საქმეს. ასევე, არ აწარმოებდა საქმეს 2013 წელს. ადვოკატმა გ. ბ.–ს მისივე თხოვნით გაუწია კონსულტაცია და შეადგენინა განცხადება, რომელიც ჩააბარა სააღსრულებო ბიუროში. სხვა მოქმედება არ განხორციელებულა ასეთის საჭიროების არარსებობის გამო. ადვოკატის განცხადებით, ე. კ.–ის თაღლითად მოხსენიება განპირობებული იყო იმ მიზეზით, რომ იგი გ. ბ.–ს ართმევდა თანხას გაზეთში მის შესახებ სტატიების გამოქვეყნების სანაცვლოდ, რაც განგრძობად ხასიათს ატარებს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ „ეს ქალბატონი ეწევა ჩემს მიმართ გამოძალვას და დანაშაულებრივ ქმედებებს, ატყუილებს გ. ბ.–ს და ა.შ.“

3.5 ადვოკატის განმარტებით, სააღსრულებო საქმე ამოიწურა. მისთვის აღსრულების ეროვნულ ბიუროში გახდა ცნობილი, რომ გ. ბ. არ აძლევდა აღმასრულებელს შვილებზე დაკისრებული ალიმენტის მიღების უფლებას. თ. მ.–მ ურჩია საჩივრის ავტორს ხელი არ შეეშალა აღმასრულებელისათვის. ადვოკატმა ჩათვალა, რომ საქმე საბოლოოდ იყო დამთავრებული.

3.6 ადვოკატი განხილვის კოლეგიის 2014 წლის 27 იანვრის სხდომაზე არ გამოცხადებულა.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

4.1 2013 წლის 17 ივნისს მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თ. მ.–ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 მეორე საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ თ. მ.–ის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მისამართით ნათქვამი სიტყვები: „საჩივარი არის ქალბატონი ე. კ.–ის „შედევრი“, რომელიც მოტყუებით თანხებს სძალავს გ. ბურდილაძეს, რაც ნამდვილად ასეა. გთხოვთ შესაბამისად გაერკვათ აღნიშნულ საქმეში და მიიღოთ შესაბამისად გადაწყვეტილება ამ თაღლითი ქალბატონის მიმართ“ არის შეურაცხმყოფელი, შეიძლება დარღვეულად ჩათვლილიყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

4.3 დისციპლინური დევნის აღმძვრელმა საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოების მონაწილე პირებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფატობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

ადვოკატმა თ. მ.–მ ეთიკის კომისიაში 2013 წლის 27 მაისს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორის წარმომადგენელი მოიხსენია შემდეგი სიტყვებით: „საჩივარი არის ქალბატონი ე. კ.–ის „შედევრი", რომელიც მოტყუებით თანხებს სძალავს გ. ბ.–ს, რაც ნამდვილად ასეა. გთხოვთ, შესაბამისად გაერკვათ აღნიშნულ საქმეში და მიიღოთ შესაბამისად გადაწყვეტილება ამ თაღლითი ქალბატონის მიმართ."

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ თ. მ.–ის 2013 წლის 27 მაისის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 12-14)

6. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. მ.–ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. მ.–ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.1.1 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები."

7.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს."

7.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ იზიარებს საპროცესო კოლეგიის 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებაში მითითებულ ადვოკატის ქმედების სამართლებრივ შეფასებას.

7.3 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან.

7.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №075/10, დაადგინა: „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.“

7.5 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

7.6 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.“ შესაბამისად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დაცვა ასევე სავალდებულოა ადვოკატისათვის სასამართლოს მსგავსი ფუნქციის განმახორციელებელ ორგანოში საქმის წარმოებისას.

7.7 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 03 მარტის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №025/12, დაადგინა: „ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზი სასამართლოს, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას. ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეთა უფლებები. ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი.“

7.8 2012 წლის 15 თებერვალს ეთიკის კომისიაში წერილობით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მოხსენიება შემდეგი სიტყვებით: „საჩივარი არის ქალბატონი ე. კ.–ის „შედეგრი“, რომელიც მოტყუებით თანხებს სძალავს გ. ბ.–ს, რაც ნამდვილად ასეა. გთხოვთ შესაბამისად გაერკვათ აღნიშნულ საქმეში და მიიღოთ შესაბამისად გადაწყვეტილება ამ თაღლითი ქალბატონის მიმართ.“ განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ აღნიშნული სიტყვებით მიმართვა საჩივრის ავტორის წარმომადგენელის, როგორც პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილე პირის უფლებების შელახვას წარმოადგენს. წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენის დროს ადვოკატს შეეძლო საკუთარი პოზიცია დაფიქსირებინა ისე, რომ არ გამოეყენებინა ისეთი სიტყვები, როგორიც არის “მოტყუებით სძალავს თანხებს”, “თაღლითი”, რადგან აღნიშნული სიტყვები არ ექცევა პირის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, შეურაცხმყოფელია და მათი გამოყენება არ არის განპირობებიული ადვოკატის წინააღმდეგ აღძრული საჩივრისაგან თავის დაცვითა და მართლებით. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს მისი პროფესიული თავისუფლება იმავდროულად ბოჭავს კლიენტებთან თუ მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეთიკური ვალდებულებები ადვოკატს, სხვა პირთა მსგავსად მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, როგორც პროფესიის წარმომადგენელს, ავალდებულებს ღირსეულად წარმოაჩინოს პროფესიის სახე ყველა ვითარებაში, მათ შორის, როდესაც მის წინააღმდეგ იხილება საქმე სასამართლოში თუ სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოში. ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორაციულ მიზანს ემსახურება და ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ. ეთიკის კომისიას მიზანწეუწონლად მიაჩნია ადვოკატის მიერ პირის მოხსენიება შეურაცხმყოფელი ეპითეტებით. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, ადვოკატი საჩივრის წარმოდგენამდე იცნობდა თუ არა საჩივრის ავტორის წარმომადგენელს, ვინაიდან ყველა შემთხვევაში, ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს პროფესიული ღირსების შენარჩუნება და სუბიექტური მოსაზრებების არაკორექტულად წარმოდგენისაგან თავის შეკავება.

7.9 განხილვის კოლეგია მიუთითებს, რომ ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმისწარმოებისას პროცესის მონაწილე მხარის შეურაცხყოფა შეიძლება ასევე შეფასდეს, როგორც ეთიკის კომისიის შეურაცხყოფა, ისევე, როგორც სასამართლოში შეუფერებელი ქცევა და მხარის შეურაცხყოფა მიიჩნევა სასამართლოს შეურაცხყოფად.

7.10 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსს, ხასიათს და მიზანშეწონილად მიაჩნია რეაგირების სახით გამოიყენოს პროპორციული და ადეკვატური ზომა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების

სახით, რომელიც არ არის სახდელი, მიზნად ისახავს ადვოკატისათვის რეკომენდაციის გაცემას, იმავდროულად კი ადვოკატთა კორპორაციის პროფესიული ინტერესის დაცვას, რათა არიდებული იქნეს ადვოკატთა მიერ არაეთიკური გამონათქვამების გამოყენება სხვა შემთხვევებშიც.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით; 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მე–4 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ თ. მ.–ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად ზემოქმედების ღონისძიების სახით განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. ადვოკატ თ. მ.–ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კომისიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კომისიის წევრი: /გიორგი ტურაზაშვილი/